



7022/3-26/22 2 04082022

7022/3-26/22

04-08-2022

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს

ბატონ ვახტანგ გომელაურს

ბატონო ვახტანგ,

2022 წლის 29 ივლისს, სამაშველო ოპერაციისას ვერტმფრენის ჩამოვარდნამ და მისი 8-კაციანი ეკიპაჟის დაღუპვამ ნათლად დაგვანახა სამაშველო სამსახურის გამლიერებისა და ახალი სამაშველო ვერტმფრენებით სამსახურის აღჭურვის აუცილებლობა. 2015 წელს, თბილისში, ვერეს ხეობაში დატრიალებული ტრაგედიისას, რომელსაც 22 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, სახელმწიფოს სტიქიის ღამეს, სამაშველო ოპერაციისას სახელმწიფოს ვერტმფრენი არ გამოუყენებია. 2017 წელს ბორჯომის ხეობაში გაჩენილი ხანძრის ჩასაქრობად, საჭიერო დახმარება საქართველომ მეზობელი აზერბაიჯანიდან და თურქეთიდან მიიღო. ვერტმფრენი არ ყოფილა გამოყენებული უკანასკნელ წლებში საქართველოს, რთულ რელიეფიან, რეგიონებში მომხდარი უბედური შემთხვევებისას.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, გთხოვთ, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მოგვაწოდოთ შემდეგი ინფორმაცია:

1. დღეის მდგომარეობით რამდენი მოქმედი ავია პარკია საქართველოს ტერიტორიაზე; (გთხოვთ ინფორმაცია მომაწოდოთ ჩაშლილად, ავია პარკებისა და რეგიონების დასახელებით)
2. რამდენი სპეციალური საფრენი საშუალება - სახანძრო, სამაშველო და სამაშველო-სამედიცინო ვერტმფრენია სამაშველო სამსახურის დაქვემდებარებაში; (გთხოვთ მონაცემები მომაწოდოთ ჩაშლილად, 2015 წლიდან დღემდე, სპეციალური საფრენი საშუალების დასახელებით)
2. რამდენი შვეულმფრენია სასაზღვრო პოლიციის დაქვემდებარებაში; (გთხოვთ მონაცემები მომაწოდოთ ჩაშლილად, 2015 წლიდან დღემდე, სპეციალური საფრენი საშუალების დასახელებით)

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ალექსანდრე ელისაშვილი

Handwritten signature

